წელიწადი 1913 მესამე

ორშაბათი, 28 ოქტომბერი № 147

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

**თითო ნომერი 5 კაპ.**

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ორშაბათი 28 ოქტომბერი № 147

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით



## ახალი კლუბი
### საზამთრო შენობა

პარასკევს 1 ნოემბერს 1913 წ.

**საზანდარი**

ჩვეულებრივ

**სინემატოგრაფიული სურათები**

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

## სააფთიაქო საქონლით
### მოვაჭრე
## კავკასიის ამხანაგობა

აუწყებს თავის მუშტრებს, რომ 7 ოქტომბრიდან გაიხსნა

**მესამე საწვრილმანო მაღაზია**

ოლღას ქუჩაზე, მელიქ-აზარიანის სახლში.

## „თემის“ რედაქციამ

იკისრა იობა ისაკაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება

**აკაკის პოემის „რაჭა-ლეჩხუმის“ და მგოსნის ამ მხარეში მოგზაურობის აღწერის გამოცემა**

ამიტომ ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც განსვენებულმა დაუგზავნა საკვიტანციო წიგნები, ანგარიში გაგვისწორონ და უეჭველად წარმოგვიდგინონ ტალონები 1 ნოემბრამდის, როდესაც შესწყდება ხელისმოწერა. ჯერ ჯერობით ჩვენ მივიღეთ ბაქოდან ვასილ კირვალიძისაგან—50 მან. და თბ. სადგურიდან ნოე გოშაძისაგან—50 მან. წიგნი გამოვა ამ წლის დეკემბერში.

## ახალი კლუბი
### საზამთრო შენობა

ორშაბათს, 28 ოქტომბერს და ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს

**სინემატოგრაფის საშუალებით**

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

## გამოვიდა და იყიდება
„თემის“ რედაქციის ახალი გამოცემა

**მუშა-გლეხის იობა ისაკაძის ხსოვნას**

ფასი 20 კაპ.

წმინდა შემოსავალი გადადებულია ი. ისაკაძის ძეგლისათვის.

წიგნის საწყობი: „თემის“ რედაქციაში.

## ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა

ამით აცხადებს რომ წიგნი გამოვიდა და მისი მიღება შეიძლება გამომცემლობის ბინაზედ (ყორღანოვის ქუჩა № 20, სახლი მიხ. გედევანიშვილისა) ყოველ დღე დილით 9—11 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

### თბილისი, 28 ოქტომბერი.

მიხ. გედევანიშვილის თაოსნობის და მის თანამშრომელთა დახმარების წყალობით ჩვენ შეძლება მოგვეცა წრეულს არა ჩვეულებრივად დავხვდომოდით დიდებულ მწერლის დაბადების დღეს.

მართლაც კლასიკ-მწერლის ნაწერების გამოცემა, მერე დასურათებული და წესიერად გამორკვეული, უბრალო საქმე არ არის.

ახალ გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ, ესთეტიურ, ეთნოგრაფიულ და სხვა მხრითაც.

ეს არის მხოლოდ, რომ დღევანდელი უკულმართ პირობების წყალობით, ამგვარ წიგნის უფრო იაფად გამოცემა შეუძლებელია.

ჩვენის აზრით, ახლა წერა-კითხვის საზოგადოების, ან რომელიმე ჩვენი მეცენატის საქმეა ეს წიგნი მეორედ სახალხოდ გამოიცეს. საქმე ახლა უფრო ადვილია, რადგანაც მიხ. გედევანიშვილს აქვს მრავალი კლიშე და კიდევ ბევრი სხვა რამ საჭირო მასალა, რომლის გამოყენება შესაძლებელია მეორე გამოცემისათვის.

მიხ. გედევანიშვილს ორკეცი მადლობა ეთქმის ჩვენგან. ერთი რომ, ეს განძი შეგვძინა, მეორე რომ, თავის გაბედულობით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხი არც ისე ჩამორჩენილი ყოფილა, როგორც ყველანი გავიძახით.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის და ცხოვრების შესასწავლად ეს გამოცემა დიდ საუნჯეს წარმოადგენს.

ილიას ნაწერების და ცხოვრების შესწავლის დრო კარგა ხანია დადგა.

გვაქვს უკვე მისი ბიოგრაფია გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილი, ბ. კიტა აბაშიძის კრიტიკული წერილები; მოგვეძებნება კიდევ მრავალი სხვა წერილი ილიას ყოველმხრივი მოღვაწეობის შესახებ. მალე ბ. გელეიშვილის წერილებიც გამოვა, როგორც შევიტყეთ. საჭიროა გამოიცეს აგრეთვე ბ. არჩილ ჯორჯაძის ნაწერი „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი მოტივების“ სათაურით.

დეე, ნუ გვაკმაყოფილებს ეს ნაწერები სხვა და სხვა მიმართულების ხალხს.

ჩვენ მაინც გვწამს, რომ გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ღირსეულად და მიუდგომლად გამოიყენებს ამ თვალსაჩინო მასალას დიდებულ მწერლის სურათის ნიჭიერად დასახატავად.

ისეთი მოღვაწეები როგორიც ილიაა, არ ჰსაჭიროებენ ჩვენ, მის ულირს ეპიგონთა მხრით არც ძაგებას და არც ქებათა ქებას. ილიას ნაღვაწი თავისთავად ლაღადებს.

სამართლიანად ამბობს დღევანდელ წერილში ბ. მიხ. წულუკიძე, ხალხს სიმართლე უყვარს და ამ სიმართლის ნიჭიერად და მიუდგომლად გამომხატველი უეჭველად გაჩნდება.

ჩვენის მხრით სიხარულით მივეგებებით მას.

## უკვდავი ილიას ხსოვნას

გუშინ შესრულდა სწორედ 76 წელიწადი თავდადებულ ილიას დაბადების დღიდან. ოცდაშვიდი ოქტომბერი დიდებული ისტორიული დღე არის ქართველი ხალხისათვის. ამ დღეს 1837 წ. განგებამ მოუვლინა ჩვენს ერს დიდებული ილია, რომელმაც თვის მშობელ ქვეყანას ნათელი მოჰფინა.

ილია ჭავჭავაძე პირდაპირ მხსნელად მოევლინა ჩვენს მრავალ ტანჯულ ქვეყანას ამ ნახევარ საუკუნის წინად ისე, როგორც ეგვიპტეში დატყვევებულ ებრაელებს წინასწარმეტყველი მოსე.

მართლაც, რას წარმოადგენდა ჩვენი ცხოვრება მესამოცე წლების დასაწყისში? სურათი მეტად უფერული და უნუგეშო იყო. ჩვენი ხალხი განურჩევლად წოდებისა და ქონებისა, იმ ხანებში რაღაც ხანგრძლივ სულთას ძილს მისცემოდა და მომავალისათვის თითქმის სრულიადაც არა ზრუნავდა. არც ისეთი მწერლები და მოღვაწენი გვყვანდნენ, რომ გაეჩაღებინათ საზოგადოებრივი ცხოვრება. თუ მოგვეპოვებოდნენ მაშინ თითო-ოროლა მწერლები, მათ თვისი გონების თვალი შორეულ წარსულისაკენ ეპყრათ და ამ წარსულის ნაშთებს მწარე ცრემლით დასტიროდნენ.

სწორედ ასეთ დროს მოგვევლინა ჩვენ ის უკვდავი პიროვნება, რომელმაც შეარყია მაშინდელი ჩვენი მოდუნებული საზოგადოებრივობა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალს, შეგნებულს და მრავალფეროვან ცხოვრებას. ილიამ თავის ამხანაგებთან ერთად საზოგადო ასპარეზზე პირველად გამოსვლისათანავე გაბედულის ხმით ამცნო თანამედროვეთ:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა...
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი...
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხსო“.

ამ დიდბუნებოვან ადამიანის მეოხებით ჩვენც ჩავებით საერთო საკაცობრიო ფერხულში და სხვებსაც ვამცნეთ ჩვენი არსებობა. ასეთი ნაბიჯი მას იაფად არ დაუჯდა. მან ბევრი სიმწარე



ილია ჭავჭავაძე.

გამოიარა, მაგრამ იგი მაინც არ შეჩერებულა.

ილია იყო პირველი მოციქული ჩვენში ძმობის, ერთობის და თანასწორობის; პირველად მან მოგვიწოდა საკაცობრიო იდეალებისაკენ. პირველად ილიამ აღნიშნა ჩვენი ცხოვრების სოციალური უსამართლობა; პირველად მან ამოიღო მძლავრი ხმა იმ საშინელ ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონყმობა ეწოდება და შესაფერადაც ებრძოდა ამ არა-ადამიანურ მოვლენას, როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიტყვით და საქმითაც. იქ, რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში, გაეცნო მაშინდელ რუსეთის საუკეთესო ახალგაზდობას—მომავალ რუსის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს; დაუახლოვდა მათ, შეითვისა უმაღლესი ჰუმანიზმი და ახალი იარაღით ხელში დაუბრუნდა თავის სატრფიალო სამშობლო მხარეს.

არც ერთი მხარე, არც ერთი კუნჭული ჩვენი ცხოვრებისა, არც ერთი აუცილებელი საჭიროება ჩვენი ერისა არ გამოჰპარვია დიდებულ მეთვალყურეს ჩვენი ერის ცხოვრებისას. თანდათან ახორციელებდა თავის აზრებს ცხოვრებაში იმდენად, რამდენად ხელს უწყობდა არსებული პირობები. დღეს ჩვენში არსებობს განა ისეთი ეროვნული დაწესებულება ან საზოგადოება, რომელიც ილიას არ დაეარსებინოს ან მის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და დახმარება არ აღმოეჩინოს?

განა მისმა ნაწერებმა, როგორც მხატვრულმა ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურმა, არ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში? განა მის ნაწერებზე არ აღზდილან ჩვენში არსებული ყველა მიმართულების და მიმდინარეობის მიმდევარნი? განა მან პირველმან არ აგვიხილა თვალი, მან არ გაგვიღვიძა სურვილი ჩვენი თავის გათვითცნობიერებისა, ჩვენი ვითარების შესწავლისა? და ვინ ჩამოსთვლის ყოველივე იმ სიკეთეს, რომელიც მან უხვად დასთესა თავის მამულში?

ბევრი მისი ნაწარმოებით ვამაყობთ დღეს და ვიამაყებთ კიდევაც შემდეგშიაც, რომელთა წყალობითაც სხვა განათლებულ ხალხს დავუახლოვდით და გვერდშიაც ამოვუდექით მისი „განდეგილი“ ეს გვირგვინი მისი პოეტური შემოქმედებისა უკვდავი იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენზე უფრო განათლებულ ხალხისათვისაცკი იმ საკაცობრიო იდეის განმარტებისათვის, რომელიც გატარებულია ამ პოემაში.

ჟურნალისტიკაში ილია შეეხო თითქმის ყველა საკითხს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის. იგი ეხებოდა ისეთ სპეციალურ საკითხსაც, როგორიც მეღვინეობისა და მევენახეობის საკითხია. შესწავლილი ჰქონდა ბანკის და სხვა ფინანსიური საკითხებიც.

ამნაირად შეძლების და გვარად არკვევდა ყველა ამ საკითხებს თავის გამოცემებში გამოჩენილი პუბლიცისტი.

მას შემდეგ ხანგრძლივმა დრომ განვლო; ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა ჩვენს თავზე. ბევრი რამ ახალი წარმოიშვა და თვალწინ აგვეტუზა მთელი თავის სიგრძე-სიგანით, რომელიც მაშინ ჩვენს უკვდავ მოამაგეს ნაკლებად ჰქონდა გათვალისწინებული. მაგრამ მან ბევრი იმისთანა რამ უანდერძა შთამომავლობას, რომელსაც თავის მნიშვნელობა არ დაჰკარგვია და კვლავაც არ დაჰკარგავს. იმ ანდრეძით ჩვენ ვხელმძღვანელობთ ხშირად ჩვენი ცხოვრების ბევრ მოვლენის განმარტების დროს. კიდევ ბევრი ხანი გავა, ერთი თაობა მეორეს გამოსცვლის, მეორე მესამეს, ხოლო ილია ჭავჭავაძის მიერ მოხდენილ ძირითად ცვლილებას ჩვენი ცხოვრებისას და აზროვნებისას კვლავაც ისეთივე ცხოველი ინტერესი და მნიშვნელობა ექნება, როგორც აქამდე ჰქონდა.

მუხთალმა ხელმა აღარ დააცალა მას ბუნებრივად დაესრულებია თვისი სიცოცხლე ამ ქვეყნად და უკანასკნელად დამტკბარიყო თვისი შრომის კეთილი ნაყოფით. მოჰკლეს იგი, მაგრამ „არ მომკვდარა ყოველივე ის, რაც დამარხულა“ ვიტყვით ჰენრიხ ჰეინეს სიტყვებით. საქმე მისი ცოცხალია და უკვდავი.

გვრწამს, შორს არ არის ის დროც, როდესაც მისი შთამომავალნი მისსავე ძუძუთი აღზრდილნი, რწმენისა და მიმართულების განურჩევლად, ერთი გრძნობით გამსჭვალულნი, ერთი აზრით გაცეცხლებულნი მის დაბადების დღეს ერთ-ერთ წლისთავს აღემართებიან მთაწმინდის პანთეონისკენ, მუხლს მოიყრიან მოწიწებით ქვეყნის კეთილშობილ ჭირისუფლის ძვირფას საფლავის წინაშე და ერთხმად ტკბილ საგალობელს მწყობრად უგალობებენ: „ნეტარება და უკვდავება შენ სულს, ხოლო სიცოცხლე და დღეგრძელობა შენს მშობელ ერს“...

**არ. სოჩბელი.**

## არტურ ლეისტის წერილი.

მეექვსედ ვდღესასწაულობთ განსვენებულ ილიას დაბადების დღეს და სულ უფრო ვშორდებით მას და მის დროს.

როდესაც 1907 წელს 27 ოქტომბერს ჩვენ პირველად შევიკრიბენით წარმოდგენაზე თეატრში, მაშინ ჩვენ შორის ჯერ კიდევ ყველა მისი მეგობრები იყვნენ. გვეჩვენებოდა, თითქო მისი დრო და ცხოვრება, რომელსაც მან და მისმა მეგობრებმა კვალი დააჩნიეს, გრძელდებოდა.

დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ზოგიერთი სხვანიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. თუმცა ილია არ იყო, მაგრამ მაინც გეჩვენებოდათ, რომ კავშირი მასთან გაწყვეტილი არ გვქონდა ახლა კი? ყველა ამათ დაგვტოვეს და მათთან ერთად გაჰქრა წინანდელი ცხოვრებაც.

ყველა ისინი იყვნენ ტიპიური, მთლიანი ხალხი, რომელთაც თავიანთ სარბიელზე იმდენი გააკეთეს, რამდენიც სხვებმა ერთად ვერ მოახერხეს. მერე რატომ? იმიტომ, რომ მათ ყველაზე მეტად უყვარდათ თავიანთი საქმე. ისინი სცხოვრობდნენ მუდმივი მისწრაფებით და სიკვდილამდე არ დაღალულან.

ჩვენ ხსოვნაში თვითეულმა მათგანმა დასტოვა თავის მთლიანი ხასიათის სურათი: ყოველი მათგანი ერთხელვე რაიმე გარკვეულის განხორციელება იყო. როცა სარაჯიშვილზე ჰფიქრობთ, წარმოგიდგებათ თვალწინ მისი საქარხნო მუშაობა, მისი ქველმოქმედება და დაუღალავი ზრუნვა საზოგადო საქმეებისათვის. ასეთივე იყო მოღვაწეობა დანარჩენებისა. ისინი ნახევრად არაფერს აკეთებდნენ. ამიტომაც დასტოვეს ცოცხალი კვალი, თუმცა ცხოვრება შეიცვალა და სხვა სახე მიიღო.

მაგრამ დაე უფრო მეტად შეიცვალოს იგი!

დაე უფრო დაშორდეს ილიას და მის თანამედროვეთა ხანას, ისინი მაინც არ დაიხოცებიან და ცოცხალ მაგალითებათ დარჩებიან შვილებისა და შვილიშვილებისათვის...

**არტურ ლეისტი.**



ლექსი „მუშას“ სათაური

# კარლო ჩხეიძის აზრი

**ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ.**

ჩვენ უადგილოდ არ დავინახეთ გაგვეხსენებინა მკითხველებისათვის სათათბიროს ახლანდელი ჩვენი დეპუტატის კარლო ჩხეიძის აზრი ილიას ნაწერების შესახებ. ქვემო მოყვანილი სტრიქონები ამოღებულია იმ სიტყვიდან, რომელიც ბ. ჩხეიძემ წარმოსთქვა თბილისში ილიას დაკრძალვის დღეს და რომელიც დაბეჭდილია გაზ. „ჩვენი გზის“ მეექვსე ნომერში, 11 სექტემბერს 1907 წ. ჩვენ მხოლოდ ის ადგილი მოგვყავს, რომელიც პირდაპირ მწერლის ლიტერატურულ მუშაობას შეეხება:

აი ის სიტყვებიც, განსვენებულის ცხედრისადმი მიმართული:

„შენ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრათ შეირყა, როცა ბატონ-ყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერათ შეეჯახა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როცა პირველად მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ. ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავ, რომელიც ჩაები განახლებულ ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების, და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნად დაისახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების საზიზღროება. შენ დაასურათე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. შენ გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდილოთ მოუხამე ის, ვინც დიდებით და პატივით იყო წინედ მოცული; შენ ჩვენ თვალწინ საოცრად გადაშალე გონებრივი სიკოტრე, გონებრივი სიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და მედიდურებით იყო აღსავსე; შენ დაგვიხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა. ამასთან ერთად შენ იმ დროისთვის საუცხოვოდ დაგვისურათე აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ლუარსაბების უღელში გაბმული გლეხები, შენ დაუპირდაპირე თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახვე, რომ მათი ერთად არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება, მეორის უბედურობაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს სთბილა, გაბროს სცივა, გულის სიღრმეში ჩაგვექრა ჩვენ ეს სურათები; ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავსდევით შეძლების დაგვარად გავმკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღსავსე იყო ჩვენი ცხოვრება. ამრიგად შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივ ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზრდობისთვის სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიდი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს ჭეშმარიტ დემოკრატიზმის დამყარება.

# ილიას ლექსები*)

**ხმა გულისა.**

ჩემ ბაღნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდუმალაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.
დიდხანს და დიდხანს უგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკურველს, იმ ხმასა გრძნეულს;
ვგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა რიგ ცემას.
დიდხანს ვეძებე, დავღალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინც ჩემს უკან ივლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;
რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან,
ქართველმან ჩემგან შაყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამამძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:
—იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!..
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან-ჩრდილში
ამაოთ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

**დაკარგული ედემი.**

ვის უნახამს ის ედემი შლილი,
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი
როგორც ტკბილია გამოღვიძება,
სადაც ბუნების თავისუფლება
მონებას, როგორც უხმო ყვედრება,
ცოცხალ ფშვენითა უყენებს თვალსა;
სად დაუკარგამს მშვენიერ ხალხსა
იმ თვით ედემში თვისი ედემი?
ვის უნახამს ის სამშობლო ჩემი?..

# ეკლის გვირგვინი.

**(სურათი).**

თვალ-უწვდენი მთა ნაღვლიანად გადმოსცქერის ძირს არე მარეს.

ის იცრემლება...

... და ცრემლები, ჩანჩქერად შეერთებულნი, გადმოჩუხჩუხეებენ.

დაბლა გაპარტახებულ ფერდობზე შეფენილია ძმათა სასაფლაო.

მთის ძირში, მთლად გაძარცულ ვენახთა შორის მდინარე მოდუდუნებს და ესალმუნება მებრძოლთა საფლავებს, სამშობლოს საკეთილ-დღეოდ თავ-დადებულთა.

იგი მოუთხრობს წარსულ დროთა ბრუნვის უძველეს ამბებს ჩაფიქრებულ მთას, რომელსაც გულში ჩაუკრავს წამებულნი, ვით დედას შვილნი და მფარველი კალთა გადაუფარებია.

ცა მოღრუბლულა და პ-რ-ქუშად გამოიყურება: სჭექს და ჰქუხს... ცეცხლის ენები გადაჰიმულან მის სივრცეზე.

ნისლი ჰბურავს მთისა მწვერვალს და წმიდა სავანეს სუდარად გადაჰკვრია.

ეკლესია—ეს სიმბოლო სარწმუნოებისა—სდგას დანგრეული ობლად, ეულად. აღარა ჰყავს ერთგული მცველი და მისი წიაღი, სადაც უწინ ჰპუდობდნენ უმანკო მტრედნი, ეხლა ყვავ-ყორანთ დაუსადგურნიათ. დანგრეულია გალავანი... დამსხვრეულია კარი და შუაზე გადატეხილია ურდული მისი.

გრიგალი დაძრწის გზა-კვალ არეული...

ნანგრევებ ქვეშ ნახევრად მოყოლილია მეომარი, რომელიც ლაფავს სულს. მტრისა ლახვარი კვლავ გულში ასვია.

გვერდზე უდევს დახეული დროშა, რომლისთვისაც მაგრად ჩაუვლია ხელი..-მეორე ხელში უპყრია გადატეხილი მახვილი...

ეკალ-ნარისაგან დაწნული გვირგვინი თავზე ადგას. შარავანდედით მოსილ შუბლზე გადმოსჩქეფს სისხლი. შავი მანდილით თავ-გადაკრული მწუხარე დედა, რომელსაც თმები ნიშნად გლოვისა მხრებზე გადაუყრია—დასტირის შვილსა და წყევა-კრულვას უგზავნის მკვლელსა, რომელიც ნანგრევებზე სდგას და ხარხარებს.

შორს, მდინარის გაღმა მოსჩანს ნათლით მოსილი ყრმა, რომელსაც ხელში უპყრავს დაფნის გვირგვინი და აქედ მოიჩქარის ეკლის გვირგვინის გამოსაცვლელად.

**ს. ერთაწმინდელი.**

*) ყველა აქ მოყვანილი ილიას ლექსები **პირველად** დაბეჭდილია მიხ. გედევანიშვილის ახალ გამოცემაში. მართლწერა ილიასია.

**რედ.**



ილიას სახლი საგურამოში.

# ილია ჭავჭავაძის თხზულების კრებულის ახალი გამოცემა.

მიხ. გედევანიშვილმა ილია ჭავჭავაძის თხზულების მშვენიერი გამოცემის გამოქვეყნება დანიშნა 27 ოქტომბერს—დიდებულ მგოსნის დაბადების დღეს. ამნაირად ეს ჩვენი ერისათვის წარჩინებული დღე წლეულს ვანსაკუთრებით იქნება აღნიშნული ჩვენი ლიტერატურის და საზოგადოებრივობის ისტორიაში.

გამოცემა მართლაც მეტად ლამაზი და განსაკუთრებული გამოვიდა. მაშინვე ეტყობა, რომ საქმის თაოსანს და მის თანამშრომელთ ბ. კიტა აბაშიძეს, იოს. გედევანიშვილს, ივ. გომართელს, ივ. ზურაბიშვილს, გ. ლასხიშვილს, იაკ. ფანცხავას, ნ. ჩიგოგიძეს და ივ. ჯავახიშვილს დიდი მზრუნველობა გაუწევიათ, რომ დაწყებული საქმე მართლაც დიდებულად დაგვირგვინებულიყო.

დამტკიცდა, რომ თბილისშიაც შესაძლებელი ყოფილა წიგნის მდიდრული გამოცემა. რამდენადაც ვიცით, თბილისში გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის“ შემდეგ ასეთი გამოცემა ჯერ არ ყოფილა. ესეც უნდა ითქვას, რომ, თუმცა ძნელია შედარება ახალი გამოცემისა „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემასთან, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას თამამად, რომ მ. გედევანიშვილის გამოცემა სჯობია. ეს გამოცემა, წარმოიდგინეთ, უფრო ლამაზად და ფაქიზად არის გამოცემული, ვიდრე ცნობილ ფირმის „ბროკჰაუზის“ გამოცემაა რუს და ევროპიელ მწერლებისა. სურათებიც მრავალი აქვს. პირველად დაბეჭდილია ილიას სურათი, გადმოღებული მხატვარ გრ. გაბაშვილის ნახატიდან. წიგნში მოთავსებულია შემდეგი პორტრეტები: ილიასი—4 (ზემონახსენების გარდა), ილიას გამდლის სალომე ლოლაძისა, ილიას მამიდის მაკრინესი, ილიას დის ელისაბედისა; ილიას მეუღლის ოლღასი, თადეოზ გურამიშვილის ასულის—3 პორტრეტია, დაბეჭდილია კიდევ შემდეგი **სურათები: წიწამურის შესახებ:** მკვლელობის ადგილი და იქაური ძეგლი, ურემი, რომლითაც მოასვენეს ილიას გვამი, ილიას ეტლი, რომელშიაც მოჰკლეს; **სურათები ილიას დასაფლავების შესახებ:** ილიას ცხედრის გადმოსვენება თბილისში, ილიას სურათი ვერცხლის გვირგვინებით, ილია კუბოში, სამგლოვიარო პროცესია, გამოსვენება სიონიდან, ილიას საფლავი მთაწმინდაზე და ძეგლი; **სურათები საგურამოს შესახებ:** ილიას სახლი, კაკლის ხე, ილიას სამუშაო ოთახი: **სურათები თბილისში ცხოვრების შესახებ:** ილიას სამუშაო ოთახი, სახლი ანდრეევის ქუჩაზე, სახლი ნიკოლოზის ქუჩაზე; **სურათები სოფ. ყვარელის შესახებ:** სახლი (კოშკი), რომელშიაც დაიბადა ილია, ილიას წისქვილი, ილიას მოურავის ბინა.

პატარ-პატარა სურათებით შეკაზმულია მრავალი ლექსი და მოთხრობა, მეტადრე ძალიან მოსაწონია სურათები, რომელიც დაყოლილი აქვს ლექსებს: „გუთნის დედას“, „ნანას“. „მუშას“, „ბაზალეთის ტბას“, „პარიზს“ და სხვ. არშიებათ ამოღებულია მასალა ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრებიდან.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დასურათება ილიას დიდ თხზულებათა. მხატვარ ჰენრიხ ჰრინევსკის, როგორცა სჩანს, ძალიან უმეცადინია, რომ შესაფერად დაეხატა საჭირო სურათები. ამ დიდ თხზულებიდან დასურათებული არიან შემდეგნი: **პოემა „აჩრდილი“.** მას აქვს: 4 პატარა სურათი, ერთიც მშვენიერი ფერადებით დახატული.

„და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“.

**„დედა და შვილი“** დასურათებულია 3 პატარა სურათით; **„ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“**—2 პატარა სურათით. მას აქვს ორი სურათი: სოფ. ყვარელი—შარა გზა და კუდი გორა, კუს წყარო კუდი გორასთან და ორი დიდი ნახატი:

1. „მიდის ურემი და უეცრადა
ვიღამაც ტყიდან ასკუპა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრადა“...

და 2. კაკო-ყაჩაღი ტყეში;

**„მეფე-დიმიტრი თავდადებულის** პოემას აქვს ერთი პატარა სურათი თავში და ორიც დიდი ფერადებიანი ნახატი:

1. „გამობრძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყვნენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი
სამგზავროდ გამზადებულნი“...
2. „მიჰგვარეს ყეინს ურჯულოს
სისხლმსმელს ადამიანისას“;

**„განდეგილს“** აქვს თავში და ბოლოში ორი პატარა სურათი, ერთი მოდიდო—მწყემსი-ქალი მთაში, ორიც დიდი ფერადებიანი ნახატი:

1. „როს ჰლოცვილობდა, იმ სხივსა, თურმე,
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა“.
2. „და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვე-ქმნილი, გაშტერებული“;

**„გლახის ნაამბობი“** დასურათებულია ორი პატარა სურათით და ორი დიდი ნახატით:

1. „ამ ალიაქოთში მე და პეპიამ დრო ვიხელთეთ და გზის გაღმა თავთავქვე დავეშვით“
2. „შემინდვიხარ“;

**„კაცია ადამიანი?!“** დასურათებულია სამი დიდი ნახატით:

1. „ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა“.
2. „მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ეს კრება“.
3. „ახსენეს ღმერთი და ერთს მშვენიერს ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარა გზასა“.

**„გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენებს«** დაყოლილი აქვს 2 პატარა სურათი და ერთი ნახატი:

**„ქვრივი** (სხაპასხუპით):

„თქვენმა მზემ ეს მეორედ მოსვლის ნიშნებია“;

**„ოთარაანთ-ქვრივი“** დასურათებულია ორი პატარა სურათით და ორი დიდი ნახატით:

1. „კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ-ქვრივს არ ჩამოეღო ეს ი რაღი და გულდადებით არ გაეწმინდა“.
2. „წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს,—უთხრა ოთარაანთ-ქვრივმა,—მარტო მინდა ვიყო“.

წიგნში ილიას 4 ავტოგრაფია, 50-მდე პატარა სურათი, 22 მოდიდო სურათი; 11 პორტრეთი, და 16 დიდი ნახატი (ზოგი ფერადებიანი).

წიგნის დასაწყისში გამომცემელ მიხ. გედევანიშვილის წინასიტყვაობაა მოთავსებული, შემდეგ დაბეჭდილია: ილიას ბიოგრაფია, გრ. ყიფშიძის-მიერ დაწერილი, კრიტიკული წერილი ბ. კიტა აბაშიძისა, მერე ილიას ლექსები, პოემები, მოთხრობანი, ვარიანტები, ყრმობის ლექსები, ნაწყვეტები და ბოლოს რედაქციის შენიშვნები. ეს უკანასკნელი შენიშვნები მეტად საყურადღებოა, რადგანაც მათში ბევრი რამ არის განმარტებული, რომელიც ილიას შემოქმედებას შეეხება. არის ისეთი ლექსები, რომელიც წიგნში პირველად ისტამბება. ასეთი ლექსი სულ 14-ია. წიგნში 800 მეტი გვერდია, დაპირებულ 600 გვერდის მაგიერ.



ილიას გამდელი სალომე ლოლაძისა.

ნახატები დაბეჭდილია პეტერბურგში, ხოლო მთელი წიგნი სურათებით აქ ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში ბ. ალ. ჯაბადრის ზედამხედველობით.

წიგნის დაწვრილებით შეფასებას და მეტადრე გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილ ბიოგრაფიის და კ. აბაშიძის წერილის გარჩევას, შემდეგ დავუბრუნდებით.

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი სურათები ამოღებულია ამ წიგნიდან.

# საუბარი მიხ. გედევანიშვილთან.

როდესაც მიველი მიხ. გედევანიშვილთან, მან ჩვეულებრივად დიდის თავაზიანობით მიმიღო, გადამიშალა ის-ის იყო საკაზმოდან მოტანილი მისი ამიერიდან ცნობილი გამოცემის ერთი ტომი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ყველა იქ დამსწრეზე, ისე ამ სტრიქონების დამწერზედაც.

სხვებს არ ჩამოვრჩი და წიგნის გადათვალიერების შემდეგ, დიდი მადლობა გადვუხადე ამ დიად საქმის შესრულებისათვის, თანაც რამდენიმე კითხვა მივეცი, რომელზედაც ხალისიანად მიპასუხა.

„როცა ქართულ გაზეთებს ვკითხულობდი,—მითხრა პატივცემულმა ექიმმა,—ყოველთვის იქ გამოთქმული მწუხარება, რომ ჩვენი კლასიკი—მწერლების ნაწერები გამოცემული არა გვაქვს, გულს მიკლავდა. ჯავრიც კი მომდიოდა. ილიას მოკვლის დღეს ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. თავი მტკიოდა. სულ ის აზრი მიტრიალებდა, ხალხს რომ გაცნობილი ჰყოლოდა ილია ჭავჭავაძე, ეს საშინელი ამბავი არ დაგვემართებოდა. ამაში უფრო დავრწმუნდი შემდეგ. გადავწყვიტე მისი ნაწერები გამომეცა, რაკი სხვა ვერავინ ჰბედავდა, თუმცა სპეციალობა ჩემი ძლიერ დაშორებულია ამ საქმეს. ვგრძნობდი გამბედაობა იყო საჭირო და გავბედე კიდეც. გავუზიარე ჩემი აზრი ჩვენს დრამატურგს ბ. იოსებ გედევანიშვილს, რომელმაც აღტაცებით მიიღო იგი და იკისრა ამ საქმეში მდივნობა. გადავწყვიტეთ დაგვეინტერესებინა საზოგადოება. ბევრი მეუბნებოდა, წააგებო. მაგრამ მე ვუპასუხებდი, მე ჩემის მხრით გროშსაც არ დავადებ. ზოგიც იმას მეუბნებოდა, სთხოვე რომელსამე დაწესებულებას ან კერძო პირებს დაგეხმარონ ნივთიერადო, მაგრამ ამისთანა შეწევაზე მე გადაჭრით უარი ვსთქვი, რადგანაც იმედი მქონდა თვით საზოგადოებისა, რომლის შესახებ ვფიქრობდი: იგი თვითონ უნდა იყოს ღირსი თავის მწერლის ნაწერების ძვირფასი გამოცემისა. აკი კიდეც გამიმართლდა იმედი. არჩეულმა სარედაქციო კომისიამ დიდი მუყაითობა გასწია ამ საქმეში; აგენტებიც დიდის გულ-მოდგინებით შეუდგენ საქმეს სრულებით უანგაროდ. სულ 30 აგენტამდე გვყავდა. მათ პირნათლად შეასრულეს თავის მოვალეობა.

კომისიას პირველად 1912 წ. 26 თებერვალს ჰქონდა კრება და მას შემდეგ კვირაში ერთხელ და ზოგჯერ ორჯერაც იკრიბებოდენ მისი წევრები.

მე ვიკისრე მიმართულების მიცემა და გამგებლობა. მდივანმა იოსებ გედევანიშვილმა დიდი შრომა გასწია. მას ეკუთვნის შენიშვნების შედგენა, რომელიც წიგნს ბოლოში აქვს დართული.

რამდენ ცალს დავბეჭდავდი, არ ვიცოდი პირველად. ყველა მარწმუნებდა, რომ 600-ზე მეტი არ გავაო. მაგრამ როდესაც ფულის შეტანის პირველი ვადა დადგა და ხელისმომწერთა რიცხვი ათას გადასცილდა, გადავსწყვიტე კიდევ 1000 მიმემატა. ბოლოს კიდევ 50 მივუმატე და ასე სულ დავბეჭდე 2.050 ცალი.

მხატვრად გვინდოდა გრ. გაბაშვილი ყოფილიყო, როგორც ჩვენი ცხოვრების მცოდნე, მაგრამ მან სამწუხაროდ უარი სთქვა ჩვენს წინადადებაზე და მაშინ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის რჩევით ჩვენ მხატვარი ჰენრი ჰრინევსკი მოვიწვიეთ.

ხელისმომწერლები სულ 1630 არის, მათ გამოიწერეს 1770 ცალი, ამათში წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოიწერა 100 ცალი; 100 ცალი კიდევ მე გადავსდე იმათთვის, ვინც დაგვეხმარა ამ დიდსა და მძიმე საქმეში; 180 ცალი ცენზურისა და სხვ. საჭიროებისათვის გადავსდე.

ხელისმოწერიდან შემოვიდა 24 ოქტომბრამდე სულ 13.188 მან. 70 კაპ. დაიხარჯა 11.252 მან. 50 კ.პ. კიდევ 2.600 მანეთამდინ არის ხარჯი გასასტუმრებელი, რომელიც დაიფარება შემოსულ ფულიდან.

სურათების ორიგინალები გადაეცემა კომისიის დადგენილებით წერა-კითხვის საზოგადოებას ილიას მუზეუმისათვის.

ამ გვარად ჩვენმა საზოგადოებამ გაგვიმართლა იმედი“, დასძინა ბოლოს ღირსეულ საქმის სამაგალითოდ დამაბოლოვებელმა.

—ძე.

# მასალა

**ილიას და გლეხობის ურთიერთობის გამოსარკვევად.**

მიხ. გედევანიშვილის-მიერ ახლად გამოცემულ ილიას ნაწერების პირველ ტომში საინტერესო მასალა მოიპოვება ილიას და გლეხობის ურთიერთობის გამოსარკვევად. გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილ ილიას ბიოგრაფიაში გარდმოცემულია ილიას შემდეგი ნაამბობი.

„მოთმინება ჩვენებური გლეხ-კაცისა, მისი დიდი სულგრძელება ხომ პირდაპირ საარაკოა, დაუჯერებელიო,—უთქვამს ერთხელ ილიას. ერთს შეძლებულს წიწამურელს გლეხ-კაცს ჭირი შეუდგა და ნახევარ-საქონელი გაუწყვიტა. როცა შევხვდი, მივუსამძიმრე, მეწყინა შენი ასეთი ზარალი-მეთქი. კაცმა გაკვირვებით შემომხედა: რა ზარალსა ბრძანებ, ბატონოო?—აი, ჭირმა რომ მოგაყენა.—ეჰ, შე დალოცვილო, ეგ რა ზარალია, ღმერთი ძმად გამიხდა და შუაზედ გამიყო საქონელიო“. მეორედ ილიასვე უამბნია შემდეგი: „საგურამოელი მარტია უნდილაშვილი კარგი შეძლებული გლეხ-კაცია, მამულისა და საქონლის პატრონი, მოვიდა ჩემთან და ფული მთხოვა, მასესხეო.

—მარტია, მაგისთანა გაკეთებული, მდიდარი გლეხკაცი ჩემგან ფულსა სესხულობ?—გაკვირვებით ვკითხე.

—რად გიკვირს, შენი ჭირიმე!

—იმიტომ მიკვირს, რომ შენ ჩემზედ მდიდარი ხარ და მე მესესხები ფულს.

—მე შენზედ მდიდარი ვარ, მაგრამ ფულით-კი არა.

—მაშ რითი?

—აი ამითი—და მარტიამ თავის ქალამანს დაადო ხელი.—შენ რომ ეგ ბრჭყიალა ფეხ-საცმლები მოგაკლდეს, ჯავრით აღარ დაგედინება. მე-კი ამ ქალამანს, როცა მინდა, მაშინ ამოვისხავ. აი! ამითი ვარ შენზედ მდიდარი!

იმავე გამოცემაში მოყვანილია ილიასაგან მოურავთან მიწერილ წერილიდან ზოგიერთი საყურადღებო ადგილები. აი რას სწერდა ილია 1906 წელს 2 თებერვალს თავის მოურავს:

„მოსე, აცნობე ბოქაულს, რომ მე ნახევარი ვაპატივე და ნახევარ-კი უთუოდ აზღვევინოს და შენის თანადასწრებით და სოფლელების თანადასწრებით ღარიბსა და ობოლ ქვრივს დაურიგოს. სთხოვე ბოქაულს, ვისაც რას დაურიგებს იმათი სახელი და გვარი შემატყობინოს.“

„.....მოსე, შენ მხოლოდ ეცადე, მშვიდობიანად მოელაპარაკო (გლეხ-კაცებს) და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ რომ მაგისთანა ამბავს ბოლო მოეღება, ნებით იქნება, თუ ძალით“.

„.....გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუჭებინებ-კი და უბრალოზედ ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმე ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ“.

„....იწერები, მოეპატრონეთ აქაურობასაო. მე შეუძლოდა ვარ... და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და ახლაცა გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელ საქართველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მადლობა

ღმერთს, მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღეს თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიან პატარამდე დააწიოკებენ. შენ, როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს, შეგშინებია. მაგოდენად ჭკუიდან როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან. მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ ჩემის გულისათვის თავი ვისმე შეაკლ მეუქი. ღვთის მადლით, მანდამდე საქმე არც მისულა და არც მივა. მანდ საკმაო ხალხი გყავს, ვერას შემოგბედენ, ჯერ იმიტომ, რომ შემობედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევათ და დიდად დაისჯებიან და მერე იმიტომ, რომ ეგენიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ: ადამიანს საავკაცოდ არ გამოიმეტებენ, რადგანაც იციან, კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს. შენ მანდ დამშვიდებით იყავ, მაგათის მუქარისა ნურა გეფიქრება-რა და, თუ მაინცა და მაინც საქმე გაგიჭირონ, მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობდეს, ისა ჰქენი“...

# ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე! რამდენ რასმე ეუბნება ეს ორი სიტყვა ქართველ ერს საზოგადოებრივ ცხოვრების, ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ!..

რა გასაკვირველია ეს?! ილია, დიად დიდებული მწერალია, დიდებული საზოგადო მოღვაწე. თუ პირველი დებულება თითქმის ყველასაგან არის მიღებული, მეორე ძლიერ განხეთქილებას იწვევს ჩვენ საზოგადოებაში.

რად ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ, როგორც მწერალი—ხელოვანი ილია ჭავჭავაძე მთელს ერს ეკუთვნის; როგორც მწერალი—მოაზროვნე კი ის მთელი ერის სულიერ ცხოვრების, მისი მიმართულების გამომხატველი არ არის; ილია ჭავჭავაძე თავის თხზულებებში ამა თუ იმ ცხოვრების ტენდენციის გამტარებელი, ასე ვსთქვათ, ორი სხვა და სხვა საზოგადოებრივ მიმართულების პიროვნებაა.



ლექსი „ნანას“ სათაური.

ჩვენი დიდებული მგოსანი სწორედ იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც, როგორც რუსეთის, ისე ქართველი საზოგადოება აღორძინების ხანას განიცდიდა და ამიტომ ორივე ერის ინტელიგენციას ერთი მეორისა ესმოდათ...

უკვე შორს იყო წასული ის დრო, რომელიც, ძალდატანებით შეერთებულ ქართველსა და რუსს კულტურულად აცალკევებდა.

მესამოცე წლები იყო ხანა საერთო ინტერესებისა, საუკეთესო მომავლისათვის თავგანწირულ ბრძოლისა, საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა შეხლისა,—ეს იყო რუსეთში—ხანა ჩერნიშევსკისა, პისარევისა, დობროლიუბოვისა, ნეკრასოვისა, რომელთაც ასეთი დიდი გავლენა იქონიეს ქართველ მწერლებზე, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეზე...

რუსეთიდან მესამოცე წლების დასაწყისში დაბრუნებული ჩვენი მგოსანი, ზემოხსენებულ რუს მწერლების იდეებით გატაცებული ბრძოლის ჰანგზე ჰმართავს თავის ქნარს, გამჭრიახად აზროვნებს და სწერს შესანიშნავს: „კაცია-ადამიანს?“, „გლახის ნაამბობს“, „კაკო ყაჩაღს“...

ის გაბედულად გვეკითხება: „კაცია ადამიანი?!“

—არა!—პასუხს გვაძლევს თვითმწერალი—ის კაცი არ არის ადამიანი, რომელიც მუდამ თავის სტომაქზე ფიქრობს და ბუზების თვლაში ატარებს დროსა. ის კაცი არ არის ადამიანი, რომელიც ისე ატარებს თავის ცხოვრებას, როგორც პირუტყვი.

დიაღ! ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი ადამიანები არ არიან...

მაშ ვინ არის ადამიანი?!

კაციც და ადამიანიც კაკოსთანა პიროვნებაა, თუმცა დღეს-დღეობით მას ყაჩაღობა აურჩევია; მაგრამ ის ყაჩაღია უნებლიედ, მისმა მდგომარეობამ—აუტანელმა ბატონყმობამ აიძულა კაკო ამ მისთვის არა საყვარელ საქმისათვის მოეკიდა ხელი.

კაკო მებრძოლია, პროტესტანტია საზოგადოებრივ უსამართლობის წინააღმდეგ.

—მოაშორეთ—თითქოს ამბობს თავის ნაწარმოებით ილია ჭავჭავაძე—კაკოს, ბორკილები ყმობისა, გაანთავისუფლეთ იგი და მაშინ დაინახავთ, თუ ვინ ყოფილა კაკო-ყაჩაღი?

მწერალი წინასწარმეტყველებდა, ისტორიულად შორს სჭვრეტდა...

ამ დროის ილია—მესამოცე წლების შვილია, ნამდვილი დემოკრატია. კაკომ მეოცე საუკუნის დასაწყისში თავის სიტყვა წარმოსთქვა...



ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი

კაკო განთავისუფლდა... დრო შეიცვალა, მასთან ილიაც...

„ოთარაანთ ქვრივის“ ილია-წინანდელი აღარ არის—ის საზოგადოებრივად განთავისუფლებულ კაკოს აღარ ეკომაგება, მისი ინტერესების წინანდელი მედგარი დამცველი ჰკარგავს თავის „მე“-ს და საზოგადოების ზედაპირის ნამდვილ შვილად გვეჩვენება. თუ აქამდი ილია ბრძოლის მქადაგებელი, ინტერესთა წინააღმდეგობის მომხრე იყო, ეხლა ის ორგანიულ მთლიანობაზე, ბრძოლის უარყოფაზე ლაპარაკობს, წოდებათა შუა ძმობა-ერთობის ჩამოგდებაზე ჰლაღადებს...

ამ დროის ილია ჭავჭავაძე თავის წინანდელი პრინციპების უარის მყოფელია, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის მოწინააღმდეგე.

თუ **ხელოვანი-ილია** მთლიანია, **ილია-მოაზროვნე** ასეთი არ არის საზოგადოებრივ მიმართულების მხრივ...

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მიმართულების მიხედვით უნდა ვაძაგოთ, ან ქებათა-ქება შევასხათ ჩვენ დიდებულ მგოსანს...

ქართველებისათვის ილია საინტერესო უნდა იყოს იმ სახით, რომელითაც იგი მოგვევლინა...

ჩვენ კი მას საზოგადოებრივ სიმპატია-ანტიპატიის მიხედვით სხვა-და-სხვა ეპიტეტებს ვუძღვნით.

ილიას დიდ პიროვნებას მიუდგომელი დაფასება ესაჭიროება, რადგან ის ქართველ ხალხს ეკუთვნის ყველა თავის ღირსება-ნაკლულევანებით. **ხალხს კი სიმართლე უყვარს.**

ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველობის განხორციელებული ნებაა.

მის მოქმედებას, მოღვაწეობას, აზროვნების განვითარებას მიუდგომელი ახსნა სჭირია....

მ. წულუკიძე

# მწარე დუმილი უკვდავ ილიას საფლავზე.

თბილისში მოგზაურობის დროს, შემთხვევით, ჩემს ამხანაგებს დავშორდი და მამადავითის გორაზე წავედი. მიხვეულ-მოხვეული აღმართი სიხარულით ავირბინე, რადგან მსურდა მალე დამენახა ჩვენი სიამაყის, ილია ჭავჭავაძის, ახლად დამთავრებული ძეგლი. ავედი... დავაცქერდი ძვირფას ქანდაკებას... შავ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძაძით შემოსილი მტირალი ქალი!.. შთაბეჭდილება დიდი იყო... რაღაც გამოურკვეველი სიამოვნება ვიგრძენი... კმაყოფილი ვიყავი მშობელი ერის, რომელსაც ღირსეულ შვილს ულმობელი სიკვდილიც კი ვერ აცლის ხელიდან.. ილიას საფლავი და მისი ძეგლი მუდამ სათაყვანებელი იქნება, ვიდრე იარსებებს ერთი ქართველი მაინც.

უცებ ორი უცნობი გაჩნდენ ჩემს გვერდით. საუბარს მოვკარი ყური. მიეყრდნენ რკინის მოაჯირს და ქვაზე წარწერილს „1837—1907“ დააცქერდენ.

დანარჩენი წარწერა ქართულია, უთუოდ ჭავჭავაძე უნდა იყოს,—სთქვა ერთმა რუსულად და დასადასტურებლად შემომეკითხა.

—დიაღ, ილია ჭავჭავაძის ძეგლი გახლავსთ,—ვუპასუხე სიამოვნებით.

დიდხანს უცქირეს უცნობებმა და წასვლის დროს ერთმა მათგანმა თავის ამხანაგს უთხრა: „ჯერ მოჰკლეს ქართველებმა, ეხლა კი აცოცხლებენო“.

აი ბასრი, მოშხამული ისარი, რომელმაც გული დამისერა და სამუდამოდ დამიწყლულიანა.

რაღაც ტანჯვა, მწუხარება ვიგრძენი, მაგრამ ვსდუმდი. ვსდუმდი, როგორც მხდალი, მშიშარა, ვსდუმდი,—როგორც დამნაშავე...

როცა გამოვერკვიე, კვლავ მარტო ვიყავი...

მალე დავსტოვე მამა-დავითის ეკლესია და დავყევი დაღმართს.

გავიდა დრო... მწარე სიტყვები ეხლაც ჩემს გონებას ვერ განშორებია.

დღესაც ვგრძნობ, მაშინდელ ჩემს სულის კვეთებას. ისე ვერაფრით გამოვსთქვამდი, როგორც მწარე დუმილით...

ზ. ვაშაძე.

# ახალი ამბები.

გაზ. „კასპის“ დეპეშით ატყობინებენ, რომ მეორე სათათბიროს ცნობილი დეპუტატი ირაკლი წერეთელი, რომელიც ამ ჟამად დასახლებულია მთავრობის განკარგულებით სოფ. მალიშევკაში, ირკუტსკის გუბერნიაში, ავად გამხდარა.

——

4 ნოემბერს თბილისში გამოვა ახალი საორშაბათო გაზეთი ფართო პროგრამით სახელად ეწოდება „ფიქრი“.

——

როგორც შევიტყვეთ თბილისის გუბერნატორი ბ. ან. გაბრ. ჩერნიავსკი სტოვებს თავის თანამდებობას ამ მოკლე ხანში. მას აძლევენ რუსეთში ერთ-ერთ უმთავრეს გუბერნიის მმართველის თანამდებობას.

——

ბ. მიხრან ანანოვის დატყვევების გამო ქუთაისის სასამართლო საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ. უსტინოვი აწარმოებს გამოძიებას.

——

დეპუტატი ვარლამ გელოვანი ქუთაისის გუბერნიაში მოგზაურობის შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში.

——

დეპ. კარლო ჩხეიძემ ექიმ პიროგოვის სახელობაზე დაარსებულ საზოგადოების გამგეობისაგან მიიღო წერილი. გამგეობა სთხოვს შეატყობინოს მას მასალა მოუსავლობის შესახებ ქუთ. გუბერნიაში და აგრეთვე აცნობოს, თუ რა სახით უფრო სჯობია დახმარება აღმოუჩინოს მცხოვრებლებს. გამგეობა სთხოვს აგრეთვე მიუთითოს ისეთ პირებზე, რომელთ საშუალებით შესაძლებელი იქნება დახმარების აღმოჩენა. კ. ჩხეიძე თავის მხრით აუწყებსამას ჩვენს საზოგადოებას და სთხოვს ყველას ვისაც შეუძლია დახმარება აღმოუჩინონ ცნობების მიწოდებით ხსენებულ დაწესებულებას, რომელიც იმყოფება მოსკოვში. (მალაია ბრონნაია ქუჩა, სახლი 15, ბინა 99.)

——

ქუთაისში ორჯერ გამართულმა კ. ფოცხვერაშვილის კონცერტმა კარგად ჩაიარა, როგორც ასრულების, ისე შემოსავლის მხრით.

——

როგორც შევიტყვეთ საციციანოს-მთის მონაწილეთ გადაუწყვეტიათ მიჰყიდონ თავიანთ მამული ბერძნების კომპანიას. აქამდე 70 მონაწილეს გამოუცხადებია თანხმობა.

——

გუშინ თბილისში დაასაფლავეს „მშაკის“ რედაქტორი ალ. ქალანთარი.

——

დღეს თბილისში მოასვენებენ კონსტ. ხატისიანის გვამს ვანქის ტაძრის გალავანში დასაკრძალავად.

# სომხის ერის მწუხარება.

ჯერ არც კი გათავებულიყო სომხის ერის მწერლობის ბრწყინვალე დღესასწაული, რომ მას ზედიზედ სამი საშინელი უბედურება დაატყდა თავს. გარდაეცვალა სამი პირი, სამი თვალსაჩინო მოღვაწე: ჯერ სიმონ ზავარიანი, მერე ალექსანდრე ქალანთარი და სულ ახლახან კონსტანტინე ხატისიანი.

ამ სამი კაცის დაკარგვა დიდი დანაკლისია მთელი ერისათვის. თუ უკანასკნელი ორნი, თავის რწმენის მხრით, საზოგადოების ზედა-პირს ეკუთვნოდენ, პირველი ხომ მთლად სომხის მშრომელ მასის, სომხის დემოკრატიის იყო.

სამივენი სპეციალისტები იყვნენ. ზავარიანი და ქალანთარი-აგრონომები, ხატისიანი კი ტეხნიკოსი, ინჟენერი. დიდი ღვაწლი მიუძღვით პირველ ორს, მეტადრე ალ. ქალანთარს, მეურნეობის გავრცელების საქმეში, საერთოდ კავკასიაში. კონ. ხატისიანს კი ტეხნიკურ საქმის მოწყობაში ქ. ბაქოში საზოგადოებამ აკი კიდეც შეაფასა მათი შრომა. ალ. ქალანთარი საპატიო წევრი იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, კონსტ. ხატისიანი კი ტეხნიკურ საზოგადოების თავმჯდომარე, მაგრამ ჩვენთვის მარტო ამ მხრით არ არიან საყურადღებონი ეს ახლად გარდაცვალებული მოღვაწენი.

ჩვენ გვაინტერესებს უფრო მათი მუშაობის საზოგადოებრივი მხარე. სამივენი დიდი მამულიშვილნი იყვნენ და არასოდეს არ ივიწყებდენ თავის მოვალეობას მშობელი ხალხის წინაშე. მათი პრაქტიკული მოღვაწეობის მიზანი იყო ხალხის ორგანიზაცია და მასაში კულტურის შეტანა, რასაკვირველია, ეროვნულ ნიადაგზე. ალ. ქალანთარი სოფლის წმინდა მეგობარი იყო. სოფლად მან გაავრცელა სამეურნეო ცოდნა და მეურნეობის თითქმის ყველა დარგში დაეხმარა მცხოვრებლებს. ამასთანავე ალ. ქალანთარი ცნობილი იყო როგორც პუბლიცისტი. იგი ხელმძღვანელობდა „მშაკის“ რედაქციას. შარშან სომხის საზოგადოებამ ამ გაზეთის 40 წლის დღესასწაულის დროს ღირსეულად შეაფასა გრ. არწრუნის ლიტერატურულ მემკვიდრის და მის თანამშრომელთა დაუცხრომელი ღვაწლი.

კონსტ. ხატისიანმა დაარსა ბაქოში სომხური კულტურული კავშირი, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა თავის საქმიანობით და სომხის ერის კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებით. ახლად განსვენებული ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო და ნიჭიერადაც ასრულებდა თავის მოვალეობას.

სიმონ ზავარიანი ამ ორ ხსენებულ მოღვაწისაგან მსოფლმხედველობის მხრით ძალიან განსხვავდებოდა. იგი მთლად ეკუთვნოდა ჭეშმარიტ დემოკრატიას. ხალხის ორგანიზაციაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი იყო „დაშნაქციუთიუნის“ პირველი დამაარსებელთაგანი და მისი ღირსეული ხელმძღვანელთაგანი. როდესაც რუსეთში არსებულმა პირობებმა ხელი ვერ შეუწყეს მუშაობაში, მაშინ იგი გადასახლდა ოსმალეთის სომხეთში და იქ განაგრძო ხალხის თავდადებული სამსახური. დიდ! იგი ნამდვილი ხალხის მეგობარი იყო და მასთან ბაასი სასიამოვნო და სასარგებლო იყო ყველასათვის. იგი იყო აღზრდილი ნიკ. მიხაილოვსკის, პ. ლავროვის და მათ მიმდევართა ნაწერებზე. მაგრამ განა შესაძლებელია ამ დუხჭირ დროში ვრცლად ითქვას ყველაფერი იმისთანა მუშაკების შესახებ, როგორიც ეს განსვენებული იყო?

ასეთი პირები დაჰკარგა ჩვენმა მეზობელმა და მოძმე ერმა და ჩვენ მათთან ერთად ვიზიარებთ მათ უსაზღვრო მწუხარებას...

# დაკარგული სამშობლო.

შევედი ტაძარში... ნატკენსა დადაგულს
ღვთის სახლო, მომირჩენ სევდიან გულს?
სამშობლოს დავეძებ, დავეძებ დაკარგულს,
ვეძებ მის სხეულსა და იმის სულს!..
ხუცესთა ბაგეზედ ლოცვები დნებოდნენ...
ბრწყინავდნენ სანთლები შიგ...
მაგრამ ლოცვები, სულს ვერა სწვდებოდნენ...
ვერც ვპოვე სამშობლო იქ!

. . . . . .

შევედი გონების ტაძარში კრძალვითა
ჩვენ ყრმათა აღზრდის და სწავლისა ჟამს...
ავენთე სევდისა, წყრომისა ალითა:
ვნახე რა მწარესა ასმევდნენ შხამს!.
გმობის და ძრახვისა სიტყვები მესმოდა,
სხვის სული მეფობდა შიგ!
და გული ნაწყენი მტკიოდა, მეწვოდა:
დამიგმეს სამშობლო იქ!...

. . . . . . .

მივმართე მაშვრალმა ქართველის კერასა...
აქ, მაინც, მივაღწევ მიზანსა ჩემს!
აქ, ალბად, გადურჩი შავბედის წერასა,
სამშობლოვ, აქ მაჯა შენი ხომ სცემს?!
ვაი ქართველის ოჯახსა, ვაი მის შერცხვენას!
სხვა კერპი ჩაუდგამს შიგ!
სხვის ზნესა ემონვის... სხვის რჯულსა და ენას!
უარჰყვეს სამშობლო იქ!..

. . . . . . . .

განვლე მე ქალაქი, სევდითა მოცული,
გავზომე სივრცე მე ბარისა, მთის...
ივერთა ოფლითა, სისხლითა მორწყული
შთენია ეს სული, ნეტავი, ვის?..
ქალაქი-ჩხიკვებსა... მინდორი-ყვავებსა...
ჩვენ კი.. კლდე... შიგა და შიგ!
ახ, სისხლის ცრემლები ერევა თვალებსა...
განდევნეს სამშობლო იქ!!

. . . . . . .

ჩემს სამშობლოშივე, სამშობლოს დაკარგულს
დავეძებ ბედისგან კრულს!
სამშობლოს ჩვენივე ხელითა დამარხულს,
მის სხეულს და იმის სულს!...

ქ. მაყაშვილი.

# კავკავის ჭირ-ვარამი.

(ბ. ბურჯანაძის წერილის გამო).

გაზ. „თემის“ № 144-ში მოთავსებულია ბ. ბურჯანაძის წერილი „კავკავის სკოლის შესახებ“. თავის წერილში ბ. ბურჯანაძე ეხება მხოლოდ ერთ მუხლს ჩემი წერილისას—მოწაფეთა სისუსტეს და ის დასკვნა გამოჰყავს კავკავის ქართულ სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე სამაგალითოდაა დაყენებულიო. იგი უარყოფს მოწაფეების სისუსტეს და ამბობს თოთხმეტიდან ათამდე მოწაფემ გაათავაო. ეს ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ჭეშმარიტების აღსადგენად მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

მთელ ამ ისტორიაში მაინტერესებს მხოლოდ ერთი—მოწაფენი მართლა სუსტობდენ ეგზამენზედა წლის განმავლობაში თუ არა? მოწაფეთა სისუსტის დამტკიცებაში დიდის სიამოვნებით დახმარებას გაგვიწევს დირ. ბელიაევი. (იხ. თერგის № 463) სადაც სხვათა შორის მოჰყავს ელემენტარული კითხვები, რომლის პასუხი ბავშვებმა ვერ მიუგეს. მაგრამ იგი ჩვენ ვერ გამოგვადგება ავტორიტეტათ ამ შემთხვევაში, რადგან მას სძულს და სძაგს ქართული სკოლა. წინად განზრახული მიზნით უნდა მის გაშავება, მაშასადამე დირ. ბელიაევს თავი დავანებოთ და მივმართოთ სხვა წყაროს. „თერგის“ № 4661-ში მოთავსებულია ბ. ტ. კახიძის, ადგილობრივ განყოფილების გამგეობის დროებითი თავმჯდომარის წერილი. მხოლოდ ამ წერილის ბოლოს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. აქ ბ. კახიძე ამბობს: „არა ერთხელ გამოგითქვამს ამ გვარი მწუხარება (მოწაფეთა სისუსტეზე სამშობლოს შესწავლაში) ადგილობრივ განყოფილების გამგეობის კრებებზედ, ბ. ბ. მასწავლებელთ ბურჯანაძის და შუბლაძის წინაშეო“. აქედან ცხადია სისუსტე მოწაფეთა არა მარტო ეგზამენზე (ვერ უპასუხეს მისთანა კითხვებზე როგორც: უმთავრესი ქალაქი საქართველოში, უდიდესი მდინარე საქარ. და სხ.) არამედ სამოსწავლო წლის განმავლობაშიაც. იქნებ ბ. კახიძე სცდება და „განყოფილების გამგეობის კრებაზე“ აროდეს არ ულაპარაკნია მოწაფეთა სისუსტეზე. თუ ეს ასეა, რატომ აქამდე არვინ ამხილა იგი?

მოწაფეთა სისუსტეს ადგილი ჰქონდა. (რუსულში, ანგარიშში...საწერ სამუშაოში და საეგზ. კომისიის თავმჯდომარის აზრი იხ. „თერგის“ № 4652). ერთი შენიშვნა ბ. ბურჯანაძეს. იგი ამბობს გასულ სამოსწავლო წელს (1911-12) „არაფერი შენიშვნა არ მიუღია სკოლას სამოსწავლო უწყების მხრივაო“. თუ გადაიკითხავს მისგანვე შედგენილს ანგარიშს სკოლისას 1911-12 წლ. იქ აღმოიკითხავს შენიშვნას რუსულ ენის შესახებ როგორც ყოფილ დირექტორის, ისე მთავარი გამგეობის თავმჯდომარის გ. ყაზბეგის მხრივ.

ბ. ბურჯანაძე მხოლოდ ამ ერთ მუხლს (სწავლა აღზრდას) ეხება ჩემი წერილისას. დანარჩენზე არას ამბობს, რადგან არ სურს „სხვა და სხვა პირების ჩარევა და მათი აყაყანება“. ეს ხომ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ დანარჩენ მუხლებზე მას საწინააღმდეგო არაფერი ეთქმის რა...

მ. ზვიდუკაშვილი.

# გ. თუმანიშვილის წერილები კავკასიის შესახებ.

II. ნადელების გამოსყიდვა.

როგორც ყველამ უწყის დროებით-ვალდებულნი გლეხნი ამ წლიდან გადაყვანილნი არიან მესაკუთრეთა რიგში. გასულ წელს სათათბირომ და სახ. საბჭომ, როგორც იქმნა, მიიღეს კანონპროექტი გლეხთა და მათ ყოფილ მებატონეთა სავალდებულო ურთიერთობის მოსპობის შესახებ; წრეულს კი მომრიგებელი შუამავალნი ამიერკავკასიის ყველა ხუთი გუბერნიისა შეუდგენ კიდეც გამოსყიდვის საბუთების შედგენას. ამგვარად, დღეს მაინც, ამიერ კავკასიაში გლეხთა განთავისუფლების თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, შეუდგენ გლეხთა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვას.

უნებლიედ ყველა ჰკითხულობს, რა გავლენას იქონიებს ეს ცვლილება ადგილობრივ თავად-აზნაურთა და გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობაზე.

რომ გლეხები ამიერიდან ცოტაოდენ შეღავათს მიიღებენ სანადელო გარდასახადებში—ამაში ეჭვი არავის შეაქვს. ფრიად დიდი ნატურალური ბეგარა, რომელიც დაწესებული იყო გლეხებისათვის ბატონ-ყმობის მოსპობის დროს (მოსავლის მეოთხედიდან მეათედამდის) ამიერიდან შეიცვლება დაკლებულ გამოსასყიდ გადასახადზე. გამოსყიდვის დროს ნადელები უნდა შეფასდეს არა დღევანდელ საბაზრო-ფასების თანახმად, არამედ უფრო დაკლებულის, თითქმის იმ ფასების მიხედვით, რომელიც არსებობდა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს ე. ი. თითქმის ორჯერ ნაკლებ ფასებში შეფასდება, ვიდრე ახლანდელი ფასებია. ამის მიხედვით, რასაკვირველია, ამ

ჟამად გამოსასყიდი გარდასახადი გლეხებისათვის დაწესებული იქნება გაცილებით უფრო დაბალი, ვიდრე ნატურალური ბეგარა იყო, რომელსაც ისინი უხდიდენ მიწის პატრონებს.

რა გავლენას იქონიებს ახლა გამოსასყიდი ოპერაცია მიწისპატრონთა ეკონომიურ მდგომარეობაზე? ესენი ერთბაშად მიიღებენ ნადელებში რამდენსამე მილიონ მანეთს. მაგრამ ეს მათ არ აკმაყოფილებს. ყველა მხრიდან გაისმის ჩივილი, რომ მემამულეებს მოესპობათ უკანასკნელი ლუკმა პური. არავინ ჰმალავს, რომ თავად-აზნაურობის უმრავლესობა ცხოვრობდა გლეხების შრომით. მიიღებენ თუ არა ამ თანხას, რომელიც უფრო მცირეა, ვიდრე ნადელების ნამდვილი ღირებულება, მიწის პატრონნი, რომელნიც არ არიან მიჩვეულნი შრომას, ძალიან მალე გაჰფლანგვენ ფულს და პროლეტარებათ გადიქცევიან. ამ წინასწარმეტყველებაში რამდენადმე გამოსჭვივის სიმართლე. უქმი ცხოვრება მიწის პატრონთა უნდა შეიცვალოს შრომის ცხოვრებაზე, თუ არ უნდათ სრულიად დალატაკდენ. მემამულეების ერთი ნაწილი, რასაკვირველია, ვერ მოახერხებს გამოცვლას და ცხოვრების ახალ პირობების შეთვისებას. მეორე ნაწილი კი მიღებულ გამოსასყიდ ფულს დაბანდავს რომელსამე მისთვის სასარგებლო სამეურნეო ან სხვა საქმეში.

უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გამოსყიდვა სწარმოებს მთავრობის ნივთიერის დახმარებით და რომ მიწის პატრონნი ერთბაშად მიიღებენ მთელ გამოსასყიდ ფულს. ეს გარემოება აყენებს მათ მეტად კარგ მდგომარეობაში. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, თუ კავკასიის მდიდარ ბუნებას აქამდინ რატომ გონივრად არ იყენებენ აქაურები, უნდა ჩაითვალოს თანხის ნაკლებობა. საქმიან და განათლებულ ხალხს არა აქვს საკმაოდ ნაღდი ფული, სესხის შოვნა კი ძალიან ძნელია. ხშირად დიდი პროცენტები უნდა აძლიონ და საზოგადოდ მაზარელებელი პირობები იტვირთონ. ზოგიერთებისათვის ხომ სრულებით მიუწვდენელია კრედიტი. ამ შემთხვევაში კი, გამოსყიდვის დროს, მიწის პატრონი ერთბაშად ღებულობს დიდ თანხას, რომელიც შეუძლია დახარჯოს ნაყოფიერად და საკუთარი დამოუკიდებელი მეურნეობა შეჰქმნას. რაც შეეხება იმათ, რომელნიც ვერ ეწყობიან შრომას, მათი შენახვა ხელოვნურად მონურ წესების შენარჩუნებით მეტად დიდი უსამართლობა იქნებოდა. მაშასადამე, მიწის პატრონის ჩივილი იმ გამოსასყიდ ოპერაციის მაზარელებელ თვისებებზე, რომელიც ახლა სწარმოებს ამიერ კავკასიაში, მოკლებულია სერიოზულ საფუძველს. იმ გარემოებამ, რომ გამოსასყიდი თანხა ადვილად შეუძლიან დახარჯონ უნაყოფოდ მიწისპატრონებმა სულ მოკლე ხანში, დაჰბადა საკითხი—იქნება შესაძლებელია შეიქმნას რომელიმე საზოგადო სასარგებლო დაწესებულება მისაღებ ფულის რამოდენიმე ნაწილის გადადებით.

ქართველმა თავად-აზნაურობამ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ერთხელ კიდეც მიიღო ხაზინიდან ფული გლეხთა განთავისუფლებისათვის, ნადელების გამოსყიდვის დამოუკიდებლად. ბატონყმობის გადაგდების დასაწყისში მამობრივ სქესის თვითოეულ სულში მებატონეებს მიეცათ 25 მან: შემდეგ მცირე მამულიანებმა მიიღეს კიდევ 25 მან. იმის შიშით, რომ ეს ფული მებატონეებს ცალ-ცალკე უნაყოფოდ არ დაეხარჯათ, ხსენებულ გუბერნიების თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა ამ ფულის ერთი ნაწილი მოეხმარა თბილისში და ქუთაისში საადგილ-მამულო ბანკების დაარსებისათვის. ამ ბანკებს პირდაპირი დანიშნულების თავად-აზნაურობისათვის იაფი საადგილ-მამულო კრედიტის გახსნის გარდა, მიზნად დაედო მეორე მხრით დახმარება მიწისმფლობელთა კლასისა. ამ ბანკების მოგებით ინახება თბილისის და ქუთაისის გიმნაზიები, ეძლევა თავად-აზნაურობის სტიპენდიები სხვა და სხვა სასწავლებელში. ამავე ფულიდან ეხმარებიან კერძო სამეურნეო საქმეებს და სხვ.

ასეთივე სურვილი აქვს მომავალ მისაღებ გამოსასყიდ ფულის მოხმარებისა ხსენებულ თავად-აზნაურობას ამ ჟამადაც. თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სადეპუტატო საკრებულოები თათბირობენ, თუ რაოდენი ნაწილი უნდა იყოს სავალდებულო მოსალოდნელ ფულიდან გადასადებად და რომელ დაწესებულებაზე უნდა დაიხარჯოს. ჰფიქრობენ ამ გადადებულ ნაწილის საშუალებით შეჰქმნან ახალი საკრედიტო დაწესებულება. სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკებმა, თუმცა სარგებლობა მოაქვთ, მაინც იმედი ვერ გაამართლეს. ბევრს ეგონა, რომ ყველაზე ადრე ესენი დააკმაყოფილებდენ სოფლის მცხოვრებთა საჭიროებას, მაგრამ უმეტესი წილი სესხისა ამ ბანკებიდან მიაქვთ ქალაქის მცხოვრებლებს, სოფლებს კი ძალიან ცოტა. დამაარსებელნი ჰფიქრობდენ, რომ ეს ბანკები ხელს შეუწყობდენ მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის აყვავებას. ნამდვილად კი ისინი აკმაყოფილებდენ სახლისპატრონთა საჭიროებას, რომელნიც აგირავებენ უძრავ ქონებას ან ძველი შენობების გადასაკეთებლად, ან ახალი შენობების ასაგებად, ან და ძველ ვალების გასასტუმრებლად. აი რატომ გაჩნდა აზრი, დაარსების შესახებ, ისეთ ბანკის რომლის მიზანი იქნება გახსნას სამეურნეო სამელიორაციო ან კომერციული კრედიტის მიცემა. თუმცა კი აქამდინ არ შეიძლება ნამდვილად ითქვას, თუ რა დანიშნულება მიეცემა იმ თანხას, რომელიც უნდა შესდგეს სათავად აზნაურო გამოსასყიდ ფულიდან. ზემოხსენებულის გარდა არსებობს კიდევ სხვა მრავალი პროექტი ამ საგნის შესახებ. ერთი შეიძლება ითქვას გადაჭრით, რომ ქართველ თავად აზნაურობის უმეტესობამ ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ, შეიგნო, რომ ამ საკითხში არ უნდა ჰქონდეს ადგილი კასტიურ კარ-ჩაკეტილობას.

თავად-აზნაურობამ უნდა იმოქმედოს არა ცალკე, არამედ ქართველ მცხოვრებთა სხვა წოდებებთან ხელ-ჩაკიდებული. ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობამ უნდა გასწიოს ერობის მაგიერობა, რომელსაც აქამდინ ვერ ვეღირსეთ არც იმ შეკვეცილი უფლებებით, რა სახითაც ზოგიერთ სხვა განაპირა მხარეში შემოიღეს იგი.

უფრო უარეს მდგომარეობაში არის ამ მხრით ამიერ კავკასიის დანარჩენი სამი გუბერნია: მაჰმადიანთა ყოფილი პროვინციები, სადაც სცხოვრობს დიდი ნაწილი კულტურულ სომხის ერის მკვიდრთა, ე. ი. ბაქოს, განჯისა და ერევნის გუბერნიები. აქ არა თუ არ არსებობს ერობა, არამედ არც არის სათავად-აზნაურო ან სხვა რაიმე საზოგადო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს სამსახური გაუწიოს გუბერნიის საერთო მოთხოვნილებათ. ამიტომაც იქ აქამდინ არც კი აღძრულა საკითხი იქაურ მიწის მფლობელების მიერ ნადელების გამოსასყიდ თანხიდან რომელიმე ნაწილის გადადების შესახებ.

საზოგადოდ ერობის ამგვარ ორგანიზაციების უქონლობას მეტად სამწუხარო შედეგი მოსდევს სოფლად, სადაც არც ექიმებია, არც სკოლები, არც საზოგადო თანხა, არც გზები და არც ხიდები. ქალაქებში ჰმოქმედობს საქალაქო დებულება 1892 წ. არსებობს სხვა და სხვა სამეცნიერო და საქველმოქმედო საზოგადოება ან ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის ნავთისმრეწველთა ან შავიქვისმრეწველთა კრების საბჭოები. მთელი დანარჩენი მხარე იღუპება დაქსასულობისა და უმწეობისაგან. ძნელი საპოვნელია მთელ დედამიწის ზურგზე ასე უხვად დაჯილდოვებული მხარე ბუნების მხრით და იმავე დროს ასე ღატაკი მოწყობის მხრით, როგორც კავკასია.

### III ხიზანთა საკითხი.

სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის მთავრობის მიერ ახლად შეტანილია კანონ-პროექტი სხვა საადგილ-მამულო საკითხის შესახებ, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ კავკასიისათვის. მე სახეში მაქვს ხიზანთა საკითხი. ხიზნები-გლეხები არიან, რომელნიც სარგებლობენ კერძო მემამულეთა მიწებით თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ჩვეულების თანახმად. ესენი უნდოდათ მოსაკუთრეთა რიგში გადაეყვანათ დროებით-ვალდებულ გლეხებთან ერთად, მაგრამ ადგილობრივ თავად-აზნაურობის მოთხოვნით, ხიზნები გამორიცხეს იმ კანონ პროექტიდან, რომელიც ეხებოდა დროებით ვალდებულ გლეხების მიერ ნადელების გამოსყიდვას. ადგილობრივ თავად-აზნაურობის განმარტებით ხიზნებს ნაკლები უფლება აქვთ მიწაზე, ვიდრე ყოფილ ყმებს, რადგანაც პირველი მაინც და მაინც მოიჯარადრენი არიან, თუმცა კი მუდმივნი, და ჩვეულების ნიადაგზე. კავკასიის მთავრობის კანონ-პროექტით, რომელიც დადასტურებულია აგრეთვე მინისტრთა საბჭოს მიერ, ხიზნებს ეძლევათ საკუთრებაში მთელი ის მიწა, რომლითაც ახლა სარგებლობენ. გამოსყიდვის დროს ეს მიწა უნდა შეფასდეს იმ ბეგარების ექვს-პროცენტიან კაპიტალიზაციით, რომელსაც ახლა იხდიან ხიზნები. თავად-აზნაურობა ამ კანონ-პროექტითაც არ არის კმაყოფილი, ამაში მას უჭერს ადგილობრივ პრესის ერთი ნაწილი. ესენი ამბობენ, რომ ხიზნებათ უნდა ჩაითვალონ მხოლოდ ის გლეხნი, რომელნიც დასახლებულან კერძო მემამულეთა მიწებზე გლეხთა განთავისუფლების დრომდის. ისინი კი, ვინც დასახლებულან შემდეგ, უნდა ჩაითვალონ თავად-აზნაურობის აზრით, ჩვეულებრივ მოიჯარადრეებათ. მაშასადამე მთელი მათი ბედ-იღბალი უნდა დაექვემდებაროს მიწის მფლობელთა სურვილს. თავად-აზნაურობას არ მოსწონს არც მიწის შეფასება ბეგარათა კაპიტალიზაციის საშუალებით. „ბეგარა, ამბობენ ისინი, ბევრს ადგილას მეტად მცირეა, ამიტომ შეფასება გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ბაზარზეაო. თავად-აზნაურობა იწყნარებს მარტო სავალდებულო გამოსყიდვას, მხოლოდ ვერ შეჰრიგებია მას, რომ ხიზნებს კანონ-პროექტით ეძლევა ყველა ის მიწა, რომელიც ახლა უჭირავთ და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ზოგიერთ ადგილას მემამულენი დარჩებიან უმიწო წყლოდო.

ეს აზრი, ჩვენისა და ადგილობრივ პრესის უმრავლესობის ფიქრით, სრულიად არ არის მართალი. იგი სრულიად უსაფუძვლოდ სთვლის ხიზნებს უბრალო მოიჯარადრეებათ. მათ შორის დიდი განსხვავებაა. ხიზნებს მემამულენი აძლევდენ ჩვეულებრივად იმ ადგილებს, რომელნიც ძნელი დასამუშავებელი იყო, როგორც მაგ., ცალიერს, ტყიანს, მთიანს და სხვ. ხიზნებს უნდა დიდი წვალება და შრომა გაეწიათ, რომ დაემუშავებინათ ეს ადგილები. ამიტომაც ხიზნებს ეს მიწები ეძლეოდათ **მუდმივ ხმარებაში მცირეოდენ ბეგარის გადახდით.** ამნაირად ახერხებდენ მემამულენი უმიწაწყლო და მცირემამულიან გლეხთა მოწვევას უსარგებლო მიწების დასამუშავებლად. მხოლოდ ამ წესის წყალობით შეეძლოთ ხიზნებს ესარგებლათ მიცემულ ადგილით. მართლაც ზემოხსენებული კანონ-პროექტი გამოსყიდვის შემდეგ სტოვებს ზოგიერთ მემამულეს მცირეოდენ მამულის სინაბარა ან იქნება უმიწაწყლოდ, მაგრამ უფასოდ ხომ არ ეძლევა ხიზნებს მათი მიწა-ადგილი?! ესენი ფულს აძლევენ, რაც ხელს უმართავს მემამულეებს სურვილისამებრ ახალი ადგილები შეიძინონ და გამართონ საკუთარი მეურნეობა. თავადაზნაურობის ინტერესების დამცველნი პრესაში მარტო ამ საბუთებით არ კმაყოფილდებიან. რომ ფასი დაუკარგონ შემუშავებულ კანონ პროექტს საზოგადოების ლიბერალურად მოაზროვნე წრეების თვალში, ისინი უთითებენ მათ იმაზე, რომ კანონ-პროექტი შედგენილია მოხელეების-მიერ. ბიუროკრატია დაინტერესებულია ადგილობრივ მკვიდრთა შესუსტებით, ამიტომ შეადგინა პროექტი, რომელიც ართმევს მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა მიწა-ადგილს და აძლევს საკუთრებაში მოსულ ოსებსო (ხიზნების უმეტესობა ოსებია), განგებ ივიწყებენ ისინი, რომ ბიუროკრატიას იმ დრომდე არ აწუხებდა გლეხების ინტერესები, მით უფრო ოსების, მცირე კულტუროსან მთიელებისა, რომელთაც უმაღლეს წრეებში არც კი ჰყავთ მოსარჩლენი, სანამ იგი იძულებული არ ხდებოდა ყურადღება მიექცია ამისათვის გლეხთა მოძრაობის გამოისობით. ხიზანთა საკითხს, როგორც საზოგადოდ გლეხთა საკითხს, ჩვენში მიეცა მსვლელობა 1905-1907 წლებში, როდესაც დაუსრულებელმა შეტაკებამ გლეხებისა და მემამულეებისამ, რასაც ხშირად მოსდევდა სისხლის ღვრაც, არ მიიქცია ყურადღება უმაღლესი მთავრობისა. იმაზე ძალიან გარკვეულად მითითებულია, როგორც არა-ერთხელ თქმულა პრესაში, ახლანდელ მეფისმოადგილის გრ. ვორონცოვ-დაშკოვის პირველ უქვეშევრდომილეს ანგარიშში. მაშასადამე, როდესაც ხსენებულ კანონ-პროექტს უწოდებენ მოხელეების კანონ-პროექტს, განგებ ჰხუჭავენ თვალს სინამდვილეზე. ეს კარგად შეაფასა დანარჩენმა დიდმა ნაწილმა ქართული პრესისამ და თანაგრძნობა გამოუცხადა ხიზნების მიერ მომავალ სავალდებულო გამოსყიდვას იმ ადგილებისას, რომელიც მათ ხელშია ამ ჟამად დაგვრჩენია მხოლოდ, ვისურვოთ, რომ საკანონმდებლო დაწესებულებმა აღარ გადასდონ ეს უკვე კარგა ხანია მომწიფებული საკითხი და რაც შეიძლება მალე გადასჭრან ის კვანძი, რომელიც ამდენ გაუგებრობას ჰბადავს მემამულეთა და ხიზანთა შორის.

## საქართველოს ამბები.

**ს. ლესა.** (გურია) ეს სოფელი მდებარეობს 7 ვერსტის მანძილზე დ. ლანჩხუთიდან. თუმცა მოსავალი წელს საზოგადოდ გურიაში ძლიერ ნაკლები იყო, მაგრამ აქ კი არა უჭირდა რა, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმამ ძალიან გააფუჭა. აქ არსებობს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც ბლომადაა მოსწავლები, მეცადინეობაც კარგ ნიადაგზედაა დაყენებული... აქვე არსებობს ფერშალ ე ორაგველიძის აფთიაქი, რომელიც ამ ჟამად ფარმაცევტ ა. ურუშაძეს აქვს აღებული იჯარით. ავათმყოფების მისაღებად დადიან დ. ლანჩხუთიდან თითქმის ყოველ დღე ფერშლები და დრო გამოშვებით ექიმიც... ამას წინად მცხოვრებლების თხოვნით ეწვია პატივცემული ექიმი ივ. გომართელი ქ. თბილისიდან, რომელსაც დიდძალი პაციენტები დახვდა. თითქმის ყველა გურიის სოფლებიდან მოაწყდა [illegible] ლი დღე დაუსვენებლად [illegible] ბ. გომართელი იძულებული შეიქნა სამი დღე დარჩენილიყო. მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა გაუსინჯავი. თვალ-ცრემლიანნი უკან დაბრუნდნენ. გასამრჯელოდ ბ. გომართელი ღებულობდა ათ ათ შაურს.. შემოუვიდა სულ 326 მ. ზოგს ღარიბს არაფერი გადაახდევინა. ეს ფული მოწინავე პირებს გადასცა პირობით, რომ გახსნან სამკითხველო. ამ გარემოებამ დიდ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი, დიდი მადლობა გადაუხადეს. ხალხი სცდილობს სისრულეში მოიყვანოს ეს სიმპატიური საქმე... სწორედ გასაკვირველია ფერშალ ე. ორაგველიძის ქცევა ავათმყოფების მიმართ. იმის ნაცვლად, რომ ისინი აფთიაქში მიიღოს, ის ხან ერთი დუქნის წინ სინჯავს, მათ და ხან სადღაც დუქნის უკან მივარდნილ ოთახში. ეს მერე მაშინ, როცა სიცივე და ყინვაა... ასე გაატარა მთელი გასული წელი.

არ იქნა და არა! ვერ ვეღირსეთ გზების გაკეთებას. წამოწვიმავს თუ არა, ბაქანზე მისვლა შეუძლებელი ხდება ტალახის გამო. ადგილობრივ მამასახლისს მახარობელ ვაჭარაძეს, რომ სიყვარული ჰქონდეს მინდობილ საქმისადმი, უეჭველად გააკეთებდა ორი დღის განმავლობაში. მაგრამ ამას განა შესტკივა გული?! თითქმის ყოველ დღე იწერება მასზე საჩივარი სხვა და სხვა გაზეთში.

ხ. შავგრემანი.

**დ. ლანჩხუთი.** (გურია) დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ძლივს ვეღირსეთ სამკითხველოს. თავის დროზე ამოირჩიეს გამგეობის სამი წევრი და სთხოვეს ყოველივე მზრუნველობა გაეწიათ სამკითხველოს საქმის მოსაწყობად. პირველად მათ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საქმეს გამართეს ორი წარმოდგენა და სხვა მრავალი შემოწირულებანი შეჰკრიბეს. მაგრამ განვლო ორმა წელიწადმა, გამგეობის წევრებმა ცოტათი მოუშვეს ხელი. წინად თუ ყველანაირ გაზეთებს იწერდენ, ეხლა ნაკლებად იწერენ. სამკითხველოს არ მოსდის, მაგ. „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მოსავალი“ და „ბათუმის გაზეთი“ დანარჩენი ჟურნალ-გაზეთებს ზოგს რედაქციები უგზავნიან და ზოგს კიდევ დაინტერესებული პირები უწერენ.

საჭიროა გამგეობის წევრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სამკითხველოს და შეიძინონ წიგნები. სამკითხველოში არ მოიპოვება არავითარი ახალი წიგნები, აგრეთვე არა აქვს სამკითხველოს ჩვენი მწერლების სურათები გარდასამისა. საჭიროა, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ თვით იმ პირებმა, რომელთაც უფრო გული შესტკივათ ამ საქმისათვის.

პედანტი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე


ხელოვნურად შეზავებული  სამკურნალო და ხილეულობის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

წიგნის მაღაზია
„ცოდნა“
სოსიკო მერკვილაძისა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნები. აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და მსახიობთა დიდი სურათები თითო აბაზ შაური: ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს.

სავაჭრო სკოლა (უფლებიანი)
და საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა

მისაღები დრო: დილით 8 საათიდან—2 საათამდე. 1 თუმანიშვილის ქუჩა საკ. ს. № 13. საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე კურსებზე მიხეილის პრ. ს. № 53. საჭიროა კომერციულ ანგარიშს მასწავლებელი.

სავაჭრო სახლი
ე. ა. ცატუროვისა და კომპ.
თბილისი, სასახლის ქ.
დიდი-კალე არჩევანი
უბრალო და სტილური მხატრულ ელექტრონულ არმატურისა.
წარსულ სეზონების არმატურა იყიდება 40—50 პროც. დათმობით
დაარს. 1869 წ.
ტელეფონი № 238.

„თემის“ რედაქციის გამოცემა.
ს. აბაშელის ლექსთა კრებული
„მზის სიცილი“
ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართელის წერილით.
ფასი 50 კაპ.
ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.
მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშვეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მალალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. ექ.-ქ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$). მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12, თაკაიშვილი ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) $1$-$1^1/_2$ს. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1. ფონდოვი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$. თრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| შარდ. სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათიანი საფასურით.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული.